

**პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს ფარგლებში გაკეთებულ დასკვნებზე:
„რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა:
გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები“.**

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ქვეყანაში არსებული რისკების შეფასების პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესის შეფასება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების შესახებ შეთანხმებით დადგენილი პრინციპების საფუძველზე და, ასევე, შეფასებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული აპროქსიმაციის შედეგიანობის რისკები.

დოკუმენტში გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით, ყურადღებას გავამახვილებ იმ დასკვნებზე, რომელთა სანდოობა სადაოა ამავე დოკუმენტში მოცემულ დასაბუთებაზე დაყრდნობით. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით გაკეთებულია დასკვნა, რომ:

✓ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში მიღებული რეგულაციებით „**საქართველო არღვევს WTO SPS შეთანხმების მოთხოვნებს**“, ვინაიდან ამ რეგულაციების საფუძველზე საქართველოში „სურსათის უვნებლობის სფეროში უკვე მოქმედებს მოთხოვნები, რომელიც არც საერთაშორისო სტანდარტს ეფუძნება და არც რისკების შეფასებას“; დოკუმენტში, ასევე, გაკეთებულია შეფასება, რომ

✓ „**სურსათთან დაკავშირებულ დაავადებათა რისკის სათანადოდ შეფასების არარსებობა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული აპროქსიმაციის შედეგიანობის შეფასებასაც შეაფერხებს.**”

ბუნებრივია, მსგავსი „რადიკალური ხასიათის“ დასკვნების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნულ დასკვნებს ჰქონდეს მყარი კვალიფიციური საფუძველი - გამყარებული იყოს მყარი სამართლებლივი და აკადემიური საფუძველით. აღნიშნულის საპირისპიროდ, კვლევის მეთოდოლოგია ფრაგმენტული საფუძველით ხასიათდება და ეყრდნობა ანალიზის „შეზღუდულ“ წყაროებს/ინსტრუმენტებს. კერძოდ,

დოკუმენტში რისკის შეფასების სამსახურის მიერ 2015 წელს გამოქვეყნებულ რისკის შეფასების პირველი დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით, „გამოვლენილია“ რისკის შეფასების პროცესის რიგი ნაკლოვანებები. რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტების ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებად კი ის გარემოებაა შეფასებული, რომ არც ერთი ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რისკის სრულფასოვან შეფასებას, ვინაიდან არ იძლევა ინფორმაციას სურსათით გამოწვეული კონკრეტული დაავადების/ჯანმრთელობის დაზიანების გავრცელების სავარაუდო მასშტაბზე/ალბათობაზე და სიმძიმეზე ქვეყანაში. მაგალითისათვის მოყვანილია ევროკავშირთან აპროქსიმირებული სურსათის უვნებლობის მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები; მათ შორის დასახელებულია ის ფაქტი, რომ ტრანსიზომერულ ცხიმებთან დაკავშირებით რეკომენდაციების არასაკმარისი დასაბუთებულობის (რისკის მასშტაბის დახასიათების თვალსაზრისით) მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა (2015 წლის ნოემბერში მოხდა მთავრობის მიერ ტრანსცხიმების რეგულირებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის მიღება და 2016 წლის ივნისში მცენარეულ ცხიმებში ტრანსცხიმების შემცველობის ზღვრული დასაშვები ნორმის დადგენა). ამასთან ერთად, დოკუმენტის ავტორის მიერ არასაკმარისადაა მიჩნეული მეცნიერთა რეკომენდაცია, რომ ტრანსცხიმების შეზღუდვა და მისი დასაშვები ნორმა რეკომენდებულია ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

დოკუმენტის ავტორის მიერ, ასევე, გაკრიტიკებულია ევროკავშირის ნორმებთან აპროქსიმაციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების (მაგალითად, სურსათის უვნებლობის მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები) საფუძვლად არა საერთაშორისო სტანდარტის, არამედ ევროკავშირის ფარგლებში განხორციელებულ რისკების შეფასების საფუძვლად გათვალისწინება. ასეთი ნორმების საქართველოში გადმოსატანად, დოკუმენტის ავტორს აუცილებლად მიაჩნია შესაბამისი რისკების სრულფასოვანი შეფასების განხორციელება საქართველოშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, დოკუმენტში მიჩნეულია, რომ საქართველო არღვევს WTO SPS-შეთანხმებას.

დოკუმენტში მოცემული კონკრეტული დასკვნების სანდოობის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს, არის თუ არა ევროკავშირის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული რისკების შეფასების საფუძვლად გათვალისწინების პრაქტიკა საქართველოს მთავრობის მიერ გამართლებული. თავის მხრივ, აღნიშნული შეფასება საჭიროებს იმის გარკვევას, არის თუ არა ეს გადაწყვეტილება მიზნის მიღწევის ერთადერთი და რაციონალური გადაწყვეტილება ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების არსებულ ეტაპზე? სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ დასახული მიზნის მიღწევა - სურსათთან დაკავშირებულ დაავადებათა რისკის შემცირება ქვეყნის მოსახლეობისათვის - უნდა მოხდეს ყველაზე აუცილებელი და სამართლებრივად ვარგისი საშუალებებით. ვარგისიანობა და აუცილებლობა უნდა განაპირობებდეს არჩეული საშუალების ნამდვილობას.

მოცემულ შემთხვევაში, WTO SPS შეთანხმების მოთხოვნების შეფასებისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის ფარგლებში (მათ შორის, WTO წევრი სახელმწიფოების მიერ) ჩატარებული და აღიარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები მაღალი სამეცნიერო კვლევის სტანდარტებს ეყრდნობა. შესაბამისად, ამ კვლევის შედეგების „ექვსის ქვეშ“ დაყენება და „პარალელური კვლევის“ ორგანიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქართველოში, მით უფრო როდესაც სადაოა კვლევის შედეგების „უფრო მაღალი სანდოობის სტანდარტის“ უზრუნველყოფა და, ამასთან, პრობლემურია სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზების შესაძლებლობა, ცალსახად არარაციონალურ გადაწყვეტილებად/მოთხოვნად შეიძლება შეფასდეს. შედეგად, WTO SPS შეთანხმებით აღებული საქართველოს სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულების პარალელურად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების (მათ შორის, WTO წევრი სახელმწიფოების) პრაქტიკის გათვალისწინება არ უნდა შეფასდეს WTO SPS შეთანხმების მოთხოვნების დარღვევად და, ასევე, არ უნდა კლასიფიცირდეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული აპროქსიმაციის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორად.

ნათია კუტივაძე

ეკონომიკის დოქტორი
მილანის უნივერსიტეტი, იტალია